



29 დეკემბერი, 2008 წ.

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერთიფიცირების მონიტორინგის ანგარიში

2008 წლის 6, 7, 13 და 14 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის შენობაში გაიმართა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერთიფიცირების მორიგი ტესტური გამოცდა. "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ" (ISFED) განახორციელა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ჩატარებული, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერთიფიცირების მონიტორინგი, ორგანიზაციის აკრედიტირებული დამკვირვებლების მეშვეობით. მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით ორგანიზაცია აცხადებს, რომ საარჩევნო მოხელეთა სერთიფიცირებამ მშვიდ გარემოში ჩაიარა, თუმცა სერთიფიცირების პროცესის ორგანიზებისას და განხორციელებისას დაფიქსირდა რამოდენიმე ხარვეზი.

მოსამზადებელი პერიოდი

2008 წლის 10 ნოემბრიდან საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაიწყო საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერთიფიკატის მსურველთა საბუთების მიღება, რომელიც გაგრძელდა 2008 წლის 24 ნოემბრის ჩათვლით. საბუთების მიღება მიმდინარეობდა როგორც ცენტრალურ, ისე საოლქო საარჩევნო კომისიებში. საარჩევნო ადმინისტრაციებში შევიდა სულ 2051 აპლიკანტის განაცხადი, რომელთაგან 908 განაცხადი შევიდა თბილისში - ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, ხოლო 1143 განაცხადი - საოლქო საარჩევნო კომისიებში, საქართველოს მასშტაბით.

მოსამზადებელ პერიოდში ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა და დამკვირვებლის სტატუსი მიანიჭა 5 ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციას. ესენია:

1. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება - ISFED;
2. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია - GYLA;
3. ახალი თაობა - ახალი ინიციატივა - nGnI;
4. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია - OSCE;
5. საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი - IRI.

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერთიფიცირებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციამ დაბეჭდა სულ 3000 სახელმძღვანელო.

მოსამზადებელ პერიოდში, კერძოდ, 2008 წლის 1 დეკემბერს, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაამტკიცა 11 კაციანი საპრეტენზიო კომისია, რომელიც დაკომპლექტდა შემდეგი შემადგენლობით: ლალი ლაზარაშვილი, რომან შენგელია, გიორგი ბარელაძე, გოჩა მამულაშვილი და დავით დოიჯაშვილი.

სერთიფიცირების მოსამზადებელი პერიოდი საკმაოდ ორგანიზებული იყო. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გაითვალისწინა წინა სერთიფიცირების დროს გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გათვალისწინებული იყო ეთნიკური უმცირესობების

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0108 თბილისი
მ. კოსტავას ქ. #25

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 98 98 24

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



სამართლიანი არჩევნები

წარმომადგენელთათვის შესაბამისი გარემოს შექმნა, რაც იმაში გამოიხატა, რომ მათთვის წინასწარ აყვანილ იქნენ მთარგმნელები. ასევე დადებითად შესაფასებელია ის გარემოებაც, რომ აპლიკანტებს შესაძლებლობა ჰქონდათ განაცხადები შეეტანათ რეგიონებში.

მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გააუმჯობესა ბევრი მნიშვნელოვანი პროცედურა, მოსამზადებელ პერიოდში მაინც დაფიქსირდა გარკვეული სახის ხარვეზები, კერძოდ: საზოგადოება არასაკმარისად იყო ინფორმირებული სერთიფიცირების ჩატარებასთან დაკავშირებით. ანუ, არ მოხდა საზოგადოების ინფორმირება მედიის (ტელევიზიით) საშუალებით. ამასთან დაკავშირებით ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განაცხადა, რომ დამზადებული იყო ვიდეო რგოლები, თუმცა მედიის საშუალებებმა უარი განუცხადეს მათ საეთერო დროის გამოყოფაზე, თავისუფალი სარეკლამო დროის არქონის გამო. ამიტომ, უკეთესი იქნება თუ ცენტრალური საარჩევნო კომისია წინასწარ იზრუნებს ამ საკითხთან დაკავშირებით მომდევნო სერთიფიცირების დროს. ინფორმაცია ტესტირების შესახებ ცნობილი იყო შედარებით ვიწრო წრეში (საარჩევნო ადმინისტრაცია, დამკვირვებელი ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები), შესაბამისად, აპლიკანტების უმეტესი ნაწილი იყო პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები.

სერთიფიცირების პროცესის მიმდინარეობა

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერთიფიცირების ტესტური გამოცდები მიმდინარეობდა 4 დღის განმავლობაში (6,7,13,14 დეკემბერი, 2008), დღეში ორჯერ 9:00 და 16:00 საათებზე. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ 10 აკრედიტირებული დამკვირვებლის მეშვეობით დააკვირდა სერთიფიცირების მიმდინარეობის პროცესს.

დამკვირვებელთა მონაცემებით გამოსაცდელთა რეგისტრაცია წარიმართა დადგენილი წესით და ადგილი არ ჰქონია დადგენილებით გათვალისწინებული პროცედურების რაიმე სახის დარღვევას. დადგენილი წესით წარიმართა გამოსაცდელთა მიერ ტესტების სხვადასხვა ვარიანტის მიღებისა და ცესკო-ს თანამშრომელთა მიერ გამოსაცდელთა შესაბამისად (წინასწარ განსაზღვრული ნუმერაციის მიხედვით) განთავსების პროცესი.

მსგავსად წინა სერთიფიცირებისა (2008 წ. მარტი), საგამოცდო კითხვების შერჩევა და ამოხეჭვდა მოხდა საგამოცდო დარბაზში, გამოცდის დაწყების წინ. აღსანიშნავია, რომ კითხვების ამ ფორმით შერჩევა უფრო გამჭვირვალეს ხდიდა პროცესს.

გამოცდის დაწყების შემდეგ, მუშაობის პროცესი საკმაოდ მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა. პროცესს აკვირდებოდნენ როგორც ცესკო-ს სამდივნოს თანამშრომლები, ასევე აკრედიტირებული დამკვირვებლები. გამოცდის მსვლელობისას რამოდენიმეჯერ დაფიქსირდა გადაწერისა და კარნახის (გამოსაცდელს შორის) მცდელობა, რომელიც იმთავითვე აღმოიფხვრა. გამოსაცდელები რომლებიც ცდილობდნენ პასუხების გადაწერას, დაუყოვნებლივ მოხსნილ იქნენ გამოცდიდან. სულ სერთიფიცირების მიმდინარეობისას დისკვალიფიცირებული იქნა 3 გამოსაცდელი.

„სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებლები დაესწრნენ ნაშრომების შენახვისა და დალუქვის პროცესს. ნაშრომები ვარიანტების მიხედვით მოთავსდა ცალცალკე კონვერტებში, შემდეგ სპეციალურ პოლიეთილენის პარკში და დაილუქა. დალუქული ყუთები დამოწმდა ხელმოწერებით (როგორც

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0108 თბილისი
მ. კოსტავას ქ. #25

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 98 98 24

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



სამართლიანი არჩევნები

ცეკო-ს სამდივნოს წევრების, ასევე დამკვირვებლების მიერ). დამოწმებული ყუთები გადაიგზავნა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შესამოწმებლად.

„სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებლები არ დასწრებიან ცეკო-ში გამოსაცდელთა პასუხების სკანირებისა და მათი კომპიუტერში გადაყვანის პროცესს, ამიტომ თავს შეიკავებს ტესტირების ამ ეტაპის შეფასებისგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, სერთიფიცირების გამოცდებზე გამოცხადდა სულ 1408 გამოსაცდელი (არ გამოცხადდა 640 აპლიკანტი), რომელთაგან სერთიფიცირების მისაღებად საჭირო რაოდენობის ქულები (100 კითხვიდან 70-ზე მეტი სწორი პასუხი) დააგროვა 847 აპლიკანტმა, ხოლო გამოცდა ვერ ჩააბარა 561 აპლიკანტმა. საპრეტენზიო კომისიაში შევიდა სულ 14 აპლიკანტის განაცხადი, რომელთაგან დაკმაყოფილდა მხოლოდ 3.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერთიფიცირება საკმაოდ ორგანიზებულად წარიმართა. აღსანიშნავია, მხოლოდ რამოდენიმე გარემოება, რაც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული მომდევნო სერთიფიცირებების დროს. კერძოდ:

- სერთიფიცირების პერიოდში გამოიკვეთა ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენელთა დაინტერესება გარკვეული აპლიკანტების მიმართ;
- ტესტების სახელმძღვანელოში დაფიქსირდა გარკვეული სახის ხარვეზები, რაც დაბნეულობას იწვევდა გამოცდის მსვლელების დროს;
- საზოგადოება არასაკმარისად იყო ინფორმირებული სერთიფიცირების ჩატარებასთან დაკავშირებით.

„სამართლიანი არჩევნები“ მიესალმება იმ ფაქტს, რომ გათვალისწინებულ იქნა წინა სერთიფიცირების დროს ჩვენი და სხვა ადგილობრივი სადამკვირვებლო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების ნაწილი. და მოუწოდებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას კვლავ გაითვალისწინოს ხარვეზები, რომლებიც დაფიქსირდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერთიფიცირების განხორციელებისას.

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0108 თბილისი
მ. კოსტავას ქ. #25

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 98 98 24

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge